საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2412 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, რომ ა(ა)იპ – მარტყოფის ძიუდოს კლუბ ამირანს (ს/კ 426525094) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს თავის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) კომპლექტი ძიუდოს ტატამი (ზომა – 10X10მ, სისქე – 4სმ), 9000 (ცხრა ათასი) ლარის ღირებულებით.

2. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

ნივთი	რაოდენობა	განზ.	ერთ.ფასი	სულ თანხა
ძიუდოს ტატამი ზომა 10x10მ, სისქე-4სმ.	1	კომპლექტი	9000.00	9000.00

სულ თანხა 9000.00